საქართველოს [illegible] სოც.-ფედერალისტ. სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადებაა პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 50ას მან. პროვინც. 6000 მან.

პარასკევი, ივლისის 21 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადება
## ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა

ა. წ. ივლისის ოციდან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველის **დავით ჩიქოვანის** თავმჯდომარეობით იწყება ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების რევიზია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად კანონიერად იქნა აკრეფილი სხვა და სხვა გადასახადები ქალაქ ტფილისში. კომისიაში წევრებათ შედიან: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის და ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი.

ამის გამო გთხოვთ ყველა მოქალაქეთ, რომელთაც გადასახადების აკრეფის დროს შეუმჩნევიათ რაიმე უკანონობა, სათანადო განცხადებით და გადახდილ გადასახადის კვიტანციით მიმართონ ხსენებულ კომისიას. განცხადებები თნდა ჩაბარდეს კომისიისათვის გადასაცემათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო განყოფილების **მდივანს**. (ოთ. ხი № 21).

ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე—**დავ. ჩიქოვანი**.

## ქალაქის საბჭოსი და აღმასკომის ყველა წევრებს

მრავალი ამხანაგები ხშირად იგვიანებენ, როგორც აღმასკომის, აგრეთვე საბჭოს პლენუმის სხდომაზე ზოგი კი სრულებით არ ესწრებიან სხდომებს. ეს მდგომარეობა პრეზიდიუმს საშუალებას ართმევს ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამიტომ თავის ერთს სხდომაზე დაადგინა: „ის წევრები აღმასკომისა და საბჭოსი, რომელნიც გამოსტოვებენ ზედიზედ, სამ სხდომას არა საპატიო მიზეზის გამო, მექანიურად გამორიცხული იქნებიან საბჭოს შემადგენლობიდან. ამისათვის ყველას ვთხოვთ წესიერათ დაესწრონ როგორც აღმასკომის, ისე ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომებს.

მდივანი **ხუნდაძე**

## მენშევიზმი და რეაქცია

თანამედროვე საერთაშორისო მოძრაობამ ორი გარკვეული მეთოდი წამოაყენა სოციალური ტრანსფორმაციის მოსახდენად. ამდენხანს მრავალი სხვა და სხვა სოციალისტური მეთოდები გარბოდა ერთი მეორეს, მრავალი მათგანი [illegible] შეურიგებლობაში იყო. მაგრამ თანამედროვე რევოლუციამ ხაზი გადაუსვა მრავალ მათგანს და გარკვეულ ფორმებში ჩამოაყალიბა მხოლოდ ორი სისტემა, რომელიც გამოიხატება დემოკრატიზმისა და დიქტატურის რამოაში. არც ერთი ეს სისტემები ახალი არ არის. ისტორიული ცხოვრების ვითარებაში მრავალჯერ მიმართავდნენ, როგორც დემოკრატიულ, ისე დიქტატურის მეთოდებს. მაგრამ ისტორიულად არასდროს ეს სისტემა ნაცადი და მათი მეთოდები ძლიერ ხშირად შეფარდებია [illegible] სინამდვილეს.

მაგრამ თანამედროვე მოძრაობამ ორივე ამ სისტემას გარკვეული შინაარსი მისცა და ნათელს კლასიკურს ფორმებში ჩამოაყალიბა. დემოკრატიზმისა და დიქტატურის სისტემები და მეთოდები თანამედროვე ეპოქის ვითარებას შეეფარდა და ამით ისინი ახალი ღირებულებით აღიჭურვნენ.

დემოკრატიზმი—ეს მენშევიკური სისტემა არის; „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ" ეს პირველად გარკვევით წამოაყენა მენშევიკურმა პარტიამ, და დღემდე ხელი არ აუღიათ ამ სისტემიდან. თანამედროვე მოძრაობაში მენშევიკები დემოკრატიზმის მეთოდებით გამოვიდნენ და სადაც კი ჩაუვარდებათ ძალაუფლება ამ სისტემას ატარებდნენ ცხოვრებაში, ამ მხრივ მათი მოღვაწეობის ასპარეზს წარმოადგენდა უმთავრესად საქართველო და გერმანია. როდესაც ჩვენ გვინდა გამოვარკვიოთ დემოკრატიზმის [illegible] და მისი მეთოდების ღირებულება, უნდა მივმართოთ უმთავრესად ამ ორ ქვეყანას. განსაკუთრებით საინტერესო სურათს იძლევა ამ მხრივ გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების ვითარება. დღევანდელი მონარქისტული მოძრაობა გერმანიაში აუხსნელი დარჩება ჩვენთვის, თუ არსებითი ყურადღება არ მივაქციეთ დემოკრატიზმის მეთოდებს და იმ პოლიტიკას, რომელსაც ატარებდა ცხოვრებაში მენშევიკური პარტია.

მეორეს მხრით პროლეტარიატის დიქტატურის სისტემა წამოაყენა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც დღეს პრაქტიკულად ატარებს საბჭოთა რესპუბლიკებში.

როგორც დემოკრატიზმის, ისე დიქტატურის სისტემა ჩვენ ამ ჟამად პრაქტიკულად გვაქვს ნაცადი და შეგვიძლია მათი შეფასება. ჩვენ აქ საკითხს არ ვეხებით თეორიულის მხრით, არ ვარკვევთ მათ მეცნიერულს დებულებებსა და საფუძვლებს. ამ ჟამად საინტერესო არის ეს სისტემები იმდენად, რამდენადაც ისინი ცხოვრების სინამდვილეს შეეხნენ და პრაქტიკული გამოცდები დაიჭირეს.

დემოკრატიზმის მეთოდი თავისი შინაარსით გულისხმობს კლასთა თანამშრომლობას, მოწინააღმდეგე სოციალური ძალების შეთანხმებასა და დაძმობილებას. დემოკრატიზმი კაპიტალისტური მეურნეობის ნიადაგზე არის აღმოცენებული და მას მისი დაცვა და განმტკიცება უდევს საფუძვლად. დემოკრატიული მეთოდი არ ეხება კაპიტალისტურს მეურნეობას, არ ანადგურებს კაპიტალისტურს კულტურას. ის უფრო ამაგრებს და აძლიერებს ამ მეურნეობას კლასთა დაახლოვებისა და თანამშრომლობის გზით. დემოკრატიზმის სისტემა უცვლელად სტოვებს მთელს ბურჟუაზიულს წყობილებას და მხოლოდ მისი გაფენილი „რეფორმით", შეკეთებით კმაყოფილდება. ამიტომ დემოკრატიზმის მეთოდი კაპიტალისტური ცხოვრების პოლიტიკურს აპარატს არ ამსხვრევს, არ სპობს, არამედ მას ამაგრებს და ინახავს საესებით.

სულ სხვა მეთოდებითა და მიზნებით გამოდის მშრომელთა დიქტატურა, საბჭოთა სისტემა. ის ამსხვრევს, ანადგურებს კაპიტალისტურს მეურნეობასა და ნიადაგს უყოფს სოციალისტურს კულტურას. ეს მთავარი დანიშნულება საბჭოთა დიქტატურისა თავიდანვე საზღვრავს და ნათელს ჰყოფს მის მეთოდებსაც. საბჭოთა სისტემა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდის პოლიტიკური ფორმა არის, მშრომელთა დიქტატურა კი ამ პოლიტიკური ფორმის შინაარსი, ასეთი გზები მშრომელთა დიქტატურისა ჩვენ უკვე გვეუბნება, რომ დღესაც მყარდება საბჭოთა სისტემა, ის თავიდანვე უნდა შეუდგეს მთელი კაპიტალისტური წყობილების ნგრევას და ახალის ნიშნეულობას, უწინარეს ყოვლისა აუცილებელი ხდება კაპიტალიზმის პოლიტიკური აპარატის ძირიან-ფესვიანად დარღვევა, მისი საფუძვლების განადგურება და მთელს სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში მშრომელი ელემენტის გაბატონება. როდესაც რუსეთის პროლეტარიატმა ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, პირველ დღიდანვე დაამსხვრია პოლიტიკური აპარატი ძველი იმპერიისა და მთელი სახელმწიფოს სათავე გადასცა მშრომელ ხალხს. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი იმას, რომ რუსეთის მუშათა კლასმა მიუხედავად იმისა, რომ ოთხი წლის განმავლობაში საშინელი კონტრ-რევოლუციის რკალში იყო მომწყვდეული, მაინც შესძლო გამარჯვება და ძალაუფლების შენარჩუნება, დიქტატურის მეთოდმა და სისტემამ მოიტანა ის დიდი ნაყოფი, რომ დღეს რუსეთში კონტრრევოლუცია როგორც დიდი პოლიტიკური ძალა განადგურებულია და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხში დიდ ადგილს აკუთვნებენ რუსეთის მუშურ გლეხურს ხელისუფლებას. დიქტატურის მეთოდით რუსეთის მშრომელმა ხალხმა როგორც შიგნით, ისე საერთაშორისო ურთიერთობაში დიდს გამარჯვებებს მიაღწია. საბჭოთა სისტემამ ამ გარემოებაში თავისი გადამწყვეტი როლი ითამაშა და დიქტატურის [illegible].

როგორს სურათს იძლევა ამ მხრივ გერმანიის ცხოვრება?

როგორც ვიცით აქ კოალიციონური პოლიტიკა მოღვაწეობდა; მენშევიკურმა პარტიამ დემოკრატიზმის პრინციპების მიხედვით მოლაპარაკება გამართა ბურჟუაზიასთან და შეთანხმებულად შეუდგნენ ისინი სახელმწიფო საქმეების მართვას. მაგრამ ამ პოლიტიკამ ვერავითარი რადიკალური ცვლილება ვერ გამოიწვია გერმანიის ცხოვრებაში და რესპუბლიკანური ფორმა მხოლოდ გარეგანი სახე იყო, რომლის შიგნით კვლავ მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი მონარქისტების ხელში დარჩა: ჯარი, პოლიცია, დაწესებულებანი [illegible] იყვნენ მონარქისტული მოხელეებით და ძველი მეთოდებით მოქმედებდა. ამ გვარად, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიამ, დიდი რევოლუციონური მოძრაობა განიცადა, მაინც მისი სოციალური ცხოვრება და პოლიტიკური წყობილება თითქმის უცვლელი დარჩა. ეკონომიური ბატონობა მსხვილს ბურჟუაზიას შერჩა ხელში წინანდებურად. პოლიტიკურ ცხოვრების მომქმედი ელემენტი ძველი მოხელეები დარჩნენ ეს გარემოება ნათლად აშკარავებს იმ ფაქტს, რომ მონარქისტულ წესწყობილებიდან გადასვლა ახალს წყობილებაში არც მიუღწეველი ყოფილა დემოკრატიზმის გზით, რომ ეს მეთოდი ვერ აღმოფხვრის ძირიან-ფესვიანად მონარქიზმს და აღნიშნული მხარე ყოველთვის იდგომება რეაქციონურ მოძრაობის საფრთხის წინაშე.

დემოკრატიზმმა არ დაამსხვრია გერმანიის ძველი მონარქისტული აპარატი, არ გასწმინდა იგი მავნე ბაცილებისაგან, ამ გარემოებამ თავისი ნაყოფი გამოიღო და დღეს ვგონებ ეს ყველასათვის ნათელი უნდა იყოს.

ცნობილმა სოც.-დემოკრატმა, ფ. შეიდემანმა თავის გახმაურებულს სიტყვაში ნათლად აღნიშნა თავისი პარტიის ერთი დიდი ნაკლი: „სოციალ-დემოკრატია არ ეწეოდა მონარქისტების საწინააღმდეგო პროპაგანდასა და დადებითს რესპუბლიკანურს მოღვაწეობას, რადგან განსაზღვრულ მომენტამდე ეს ჩვენ მეორე ხარისხოვან საკითხად გვეჩვენებოდა". აქ აღიარებულია ძირითადი შეცდომა მენშევიკური მეთოდებისა.

მაგრამ გერმანიის ცხოვრების მაგალითები ნათელს მოფენს ამ მეთოდების [illegible]. დღეს გერმანია მონარქისტული მოძრაობით სუნთქავს. არსად არ არის მიღებული ზომები მისა აღმოსაფხვრელად. წინააღმდეგ თვით გერმანიის მთავრობის წევრები ხელს უწყობენ ამ მოძრაობას. ფინანსთა მინისტრი [illegible] შეთანხმებაში არის ჰოგენცოლერნებთან და მათგან არ ღებულობს გადასახადებს. კომუნისტები მოითხოვენ ამ მინისტრის გადაყენებას, როგორც მონარქისტისას; მაგრამ უშედეგოდ დარჩა, სამხედრო მინისტრი გესლერი უფრო მეტი ბრალდებებით არის დატვირთული. დამოუკიდებელ [illegible] განცხადებით ამ მინისტრმა გერმანიის არმიისაგან შექმნა მონარქისტულ რეაქციის იარაღი და არა რესპუბლიკის დამცველი ძალა. სოციალისტური პრესა აღნიშნავს, რომ „გესლერმა გასწმინდა არმია—ყოველგვარ რესპუბლიკანურ ელემენტებისაგან". ცნობილმა შეიდემანმა თავის სიტყვაში სასტიკად გაილაშქრა არსებულ არმიის წინააღმდეგ და გამოაშკარავა მისი უარყოფითი მხარეები. „არმია, რომელმაც უნდა დაიცვას რესპუბლიკა და რომელსაც განაგებენ მონარქისტი ოფიცრები ეს იგივეა, რომ მელია საქათმეს მიუყენოთ მცველად... დანიშვნა კაპიტნების (მონარქისტული) მეთაურისა ფონ [illegible] კრეისერის კომანდირად მე მიმაჩნია სრულიად გაუგონარ საქმედ". ამ გვარად გერმანიის არმია დღეს რეაქციის იარაღი არის იმ პოლიტიკის წყალობით, რომელსაც ატარებდნენ ცხოვრებაში მენშევიკები. მათი მთელი ენერგია რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომეს და იმავე დროს ჯარი შავრაზმელ გენერლებით აავსეს.

ეს არის შედეგი დემოკრატიული მეთოდებისა. ამ სისტემამ თავისი ნაყოფი გამოიღო და რეაქცია დღეს რესპუბლიკას განადგურებით ემუქრება. მენშევიკები, მიუხედავად მათი პოლიტიკის შეცდომებისა კვლავ ძველი გზით განაგრძობენ სვლას და არ სურთ მუშათა კლასთან ერთად საჭირო ზომები, დიქტატორული მეთოდები გამოიყენონ რეაქციის გასანადგურებლად.

ამაზე იტყვიან: კუზიანს სამარე გაასწორებსო.

მენშევიკური მეთოდით შეუძლებელი ხდება რევოლუციის დაცვა და პროლეტარიატმა გერმანიაში გარკვევით წამოაყენა თავისი რიგების გაერთიანების იდეა და მუშათა მთავრობის შედგენის საჭიროება; მხოლოდ ეს საშუალება იხსნის გერმანიას მონარქიულ რესტავრაციისაგან.

ხ. დვიანი.

## ერთი ფურცელი რევოლუციონურ სინდიკალიზმის ისტორიიდან

როგორც დეპეშებმა გვამცნო, სენტ-ეტიენში 26 ივნისიდან 1 ივლისამდე, გაგრძელდა რევოლუციონურ სინდიკალისტთა კონგრესი. კონგრესის პროცესში გამოაშკარავდა ის შინაგანი სხვაობა აზრისა, რომელიც არსებობდა პროფინტერნთან ურთიერთობის შესახებ.

ოთხი მიმართულება, ოთხი გზით მიდიოდა, რომელთა შორის პირველი—კომუნისტურ თვალსაზრისზე იდგა და აუცილებელ საჭიროდ სცნობდა პროფინტერნში შესვლას. მეორე მიმართულება სინდიკალისტურ-კომუნისტურ თვალთა შეხედულებს იზიარებდა. [illegible] პროლად მტკიცე ორგანიზაციული ურთიერთობა მასთან. მესამე—ანარქო-სინდიკალისტები უარყოფდნენ პროფინტერნთან რაიმე ურთიერთობის დაჭერას, ხოლო მეოთხე—წმინდა წყლის ანარქისტული ჯგუფი, აღიარებდა ანარქო-სინდიკალისტური ინტერნაციონალის შექმნას.

კონგრესის უკანასკნელმა დღემ რევოლუციური შედეგი მოგვცა. დიდი ბრძოლის შემდეგ დელეგატების ორმა მესამედმა ხმა მისცა პროფინტერნის სასარგებლო რეზოლუციას.

როგორც ვიცით, გასულ წელსაც სინდიკალისტთა კონგრესზე დიდი ბრძოლა იყო გაჩაღებული, რომელზედაც მემარჯვენე ტაქტიკის სულმა გაიმარჯვა. დღევანდელი კონგრესის აქტი კი აუცილებლად რევოლუციონური სინდიკალიზმის ისტორიის ერთი შესანიშნავი ფურცელი იქნება.

ჩვენთვის უფრო ნათელი რომ გახდეს ამ აქტის მნიშვნელობა საჭიროა სქემატიურად დავხატოთ მოკლე რევოლუციონური სინდიკალიზმის ისტორიისა და თეორიისა.

1871 წ. კომუნის დამარცხებამ საფრანგეთის მუშათა მოძრაობას თავისებური კვალი დააჩნია. სოციალისტურმა მოძრაობამ ხელ ახლა დაიწყო განვითარება, რომელსაც ერთი მხრით მარქსისტული მიმართულება [illegible] ხელმძღვანელად გედის მეთაურობით, ხოლო მეორე მხრით ეგ. წოდ. „შრომის ბირჟები" აღმოცენდა, რომელშიც მიზნად დაისახა მუშათა ინტერესების დაცვა და რომელიც შემდეგ შეკავშირდა „შრომის ბირჟის ნაციონალურ ფედერაციაში".

მარქსისტულ მიმართულებასა და ამ უკანასკნელ ორგანიზაციას შორის ბუნებრივად მოხდა კონფლიქტი, რამდენადაც პირველი უმთავრეს მნიშვნელობას პოლიტიკურ ბრძოლას აძლევდა, ხოლო მეორე მას უარყოფდა და პირველ ადგილზე აყენებდა ეკონომიურ ბრძოლას.

ასეთი ხასიათის მუშათა მოძრაობის პრაქტიკის ნიადაგზე აღმოცენდა მთელი თეორიული მსვლელობა რევოლუციონური სინდიკალიზმისა. რევოლუციონური სინდიკალიზმი დაშორდა მარქსისტულ სოციალიზმს, რომელმაც რევოლუციური ბრძოლის არენა პარლამენტის პარკეტითა და სასახლეთა კედლებით შეზღუდა. პარლამენტის პარკეტითა და სასახლეთა კედლებით შეზღუდა. პარლამენტარული ბრძოლა შეუძლებელი გახდა რევ. სინდიკალიზმისათვის, რამდენადაც მათი გაგებით პარლამენტი არსებითად დაცილებულია მასას და არ შეიძლება იცავდეს მის ინტერესს. პარლამენტში ბრძოლას ესაჭიროება იმდენი ცოდნა, რომ ის შეუძლებელი ხდება მუშათა ფართო მასის მიერ იქნეს შესრულებული, ხოლო პოლიტიკური მოღვაწენი არსებითად განსხვავდებიან თავისი მდგომარეობით მუშებისაგან და

ამას გარდა, რევოლუციონური სინდიკალიზმი სამართლიანად აღნიშნავს, რომ პარლამენტი ბრძოლას კი არ, გულისხმობს, არამედ თანხმობას, კოალიციას. ეს თანხმობა და კოალიცია ქმნის მუშათა წრეებში ოპორტუნიზმს, შერიგებას, არჩევს მას თავის მდგომარეობას, ანელებს რევოლუციურ სულს და მის მოვალეობად სთვლის მხოლოდ ხმის მიცემას საპარლამენტო არჩევნებში.

ამიტომ ასეთი რეფორმისტულ დაწესებულება. რომელსაც წარმოადგენს პარლამენტი არ შეიძლება იყოს საშუალება სოციალიზმის განხორციელებისა. ამისათვის საჭიროა არა ჭრელი შემადგენლობა პოლიტიკური ორგანიზაციისა, რომელშიაც შედის სხვა და სხვა კლასობრივი ინტერესების მქონე ხალხი და ერთდება მხოლოდ მსოფლმხედველობის ნიადაგზე, არამედ ამისათვის საჭიროა წმინდა კლასობრივი ორგანიზაცია—მუშათა კავშირები.

აქტიური ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, საბოტაჟი, ლემელი, ბოიკოტი და საერთო გაფიცვა მუშებისა—აი მეთოდი რევოლუციონური ბრძოლისა და არა პარლამენტის ფრაზეოლოგია, მისი დებატები.

რევოლ. სინდიკალიზმი საინტერესოა მით, რომ მან მოხდენილად შეარიგა როგორც მარქსისტული სოციალიზმის კონცეპცია კლასობრივი ბრძოლის შესახებ, ისე ანარქისტული იდეალის მსვლელობა სახელმწიფოს შესახებ. ამ მხრით რევოლუციონური სინდიკალიზმი აუცილებლად ეკლექტიური მსვლელობაა და ამოკრებილ ნაწილებს აერთებს ანარქიზმისა და მარქსიზმისას.

რევოლუციონური სინდიკალიზმის კრიტიკა პარლამენტისა პატარა შესწორებით არსებითად სამართლიანია. პარლამენტი, როგორც გზა სოციალისტურ შემოქმედებისა არსებითად ყალბი და მიუღებელია, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლებოდეს პარლამენტის გამოყენება სოციალისტური პროპაგანდისათვის თუ გნებავთ. პარლამენტში უნდა შევიდეს მუშათა კლასი აღმაშენებლობისათვის თუ არა რღვევისათვის მაინც და უნდა გამოაშკარავოს მთელი გახრწნილება პარლამენტარული მმართველობის სისტემისა.

რევოლუციონური სინდიკალიზმი როდესაც უარყოფს პოლიტიკურ ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციას, პოლიტიკურ პარტიას, ამით საშუალებას ისპობს მუშათა მოძრაობის ფართოდ განვითარებისა, რადგან მუშათა კავშირები იმდენად ჩაფლულია პროფესიულ მუშაობაში, რომ მათთვის შეუძლებელია საერთოდ მუშათა კლასის ხელმძღვანელობა.

ამის გარდა მიუღებელია ის დებულება, ვითომც სოციალიზმისათვის ბრძოლა მხოლოდ და მარტო იმას შეეძლოს, ვინც პროლეტარიატის რიგებშია მოქცეული. ოუენი ფაბრიკანტი იყო, მაგრამ მთელი სიცოცხლე შეალია ბრძოლას მშრომელი ხალხისათვის. სენ-სიმონმა, გრაფმა და კარლოს დიდი ჩამომავალმა, მათხოვრის როლიც კი იკისრა სოციალისტური იდეისათვის, არც მარქსისტული სოციალიზმის მამათ-მთავარნი მარქსი და ენგელსი იყო პროლეტარი თავისი მდგომარეობით, ერთი სიტყვით შემცდარად უნდა ჩაითვალოს ის დებულება, ვითომც პიროვნების იდეურსა და მორალურ მსოფლმხედველობას არ შეეძლოს სოციალისტური იდეალისათვის ბრძოლის გაწევა. აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტიკური ძალა-უფლებისათვის ბრძოლა მუშათა კლასის პირდაპირ მიზანს უნდა შეადგენდეს რადგან სახელმწიფოებრივი აპარატი შეუძლია მან მიმართოს თავისი საბოლოო მიზნების განაღდებისათვის.

მართალია პოლიტიკურმა ბრძოლამ არ მიგვიყვანა უკიდურესობამდე. მუშათა მოძრაობისათვის და სოციალიზმის განხორციელებისათვის საჭიროა არა მარტო პოლიტიკური ორგანიზაციები, არამედ ეკონომიური ორგანიზაციებიც. ამიტომ საჭიროა შერიგება პოლიტიკისა და სინდიკალიზმისა.

ამ მხრივ უკანასკნელი კონგრესის დადგენილება პროფინტერთან კავშირის შესახებ ერთი ნაბიჯია წინ გადადგმული. სინდიკალისტურმა მიმართულებამ აუცილებლად უნდა მოახდინოს რევიზია განსაკუთრებით დღეს, როდესაც გიგანტიური ბრძოლა გაჩაღებული ორ სამყაროს შორის და იგი აქტიურად უნდა ჩადგეს პროლეტარული რევოლიუციის რიგებში. მან ისევე უნდა გამოვიდეს პოლიტიკური ბრძოლის მოედანზე, როგორც იგი გამოდის ეკონომიური ბრძოლის მოედანზე.

როგორც აღვნიშნეთ ერთი ნაბიჯი იმ მხრივ გადადგმულია და ეს ნაბიჯი აუცილებლად ერთი მნიშვნელოვანი ფურკალიზმის ისტორიისა.

სენტ-ეტიენში ჩაეყარა საფუძველი ამ მიმართულებას და იმავე ქალაქს უნდა ხვდეს წილად მისი რევიზიაც.

ხერ. ამაღლობელი.

# პრესა

აჭარულთა პროვოკაცია.

ამ ქამად მეტად დიდი მნიშვნელობის შეთანხმება მოხდა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მთავრობებს შორის: უნდა მოხდეს რუსეთიდან რეევაკუაცია და დაუბრუნდეს თავის პატრონს ის დიდი ისტორიული განძეულობა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო გატანილი საქართველოდან რუსეთის ძველი მთავრობისა და ჩინოვნიკების მიერ. ადგილობრივი პრესა და საზოგადოებრივი წრეები, გარდა პროვოკატორებისა, დიდი სიამოვნებით შეეგებნენ ამ შეთანხმებას. ჩვენი გაზეთიც დიდის კმაყოფილებით შეხვდა ამ შეთანხმებას და აღნიშნა მისი როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური მნიშვნელობა. (იხ. „ტრიბუნა“ № 247).

სხვათა შორის ჩვენს წერილში ვწერდით:

„საბედნიეროდ ამ განძეულობის უდიდესი ნაწილი დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არის: იგი სხვა და სხვა დროს, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, რუსეთში ზიდულა შიშიანობისა, „უკეთ დაცვისა“, თუ სხვა მოსაზრებათა გამო და აქ მხოლოდ უმცირესი და უმნიშვნელო ნაწილიღაა დარჩენილი“.

ამ სიტყვებს ბრძოლის გუნებაზე დაუყენებია გაზ. „კომუნისტი“ (№ 164) და მას „ტრიბუნის“ პროვოკაციას უწოდებს. გაზეთი გვეკითხება დავასახელოთ, რა განძეულობა გაიტანეს „საბჭოთა ხელისუფლების დროს („დღემდე“) რუსეთში.

უნდა გამოვტყდეთ, რომ „კომუნისტი“ ჩვეულებრივად „ჩქარებულია და ძლიერ „გაიძნელებია თქმულის გაგება“. მაგრამ ამას არა მარტო ამოწერილი ადგილის გაგება გაუძნელებია, არამედ გაძნელებია წერილის ბოლომდე წაკითხვა და გაგება მისი მთავარი აზრის.

რომ აღელვება გაზ. „კომუნისტი“, რამ საქმე ნუთუ მართლა ჩვენს წერილში „ტრიბუნას“ ფურცლებზედ ვიმეორებთ „დაბეჩავებულ სიბინძურესა“ და „ლათაიებს“, რასაც უხვად აფრქვევენ ხალხში ჩვენებური პროვოკატორები? გაზ. „კომუნისტი“ ჩხირკედელაობს და ნაცვლად იმისა, რომ თავისი ბრალდება მთელი წერილის შინაარსზედ ააგოს ერთს სიტყვას („დღემდე“) ჩაებღაუჭება და ამაზედ აშენებს „უმძიმეს“ ბრალდებას ჩვენი პროვოკატორობის შესახებ. მაგრამ მისი ბრალდება საპნის ბუშტზე უფრო უმსუბუქესია და ხელის შეუხებლადაც ისპობა. „კომუნისტის“ მეპრესეს სიჩქარემ დასძლია და თვით ჩავარდა პროვოკატორის როლში. მაგრამ ნათქვამია „ჩქარებით სოფელი არავის მოუჭამია“ და ჩვენი მეპრესის მიერ აჩქარებულად გამოსროლილი ისარი მხოლოდ მხიარულ გუნებაზედ აყენებს „ტრიბუნის“ რედაქციას.

უნდა იცოდეს „კომუნისტის“ რედაქციამ, რომ ამოწერილ ადგილის გაგებისათვის არ არის საჭირო დიდი სიბრძნე და სიტყვა „დღემდე“ პოლიტიკურის მნიშვნელობით უნდა იქმნეს გაგებული. თორემ „კომუნისტის“ პრიმიტიულ გაგებით რომ ავხსნათ, მაშინ გამოვა, რომ ჩვენ თითქოს ვამბობდეთ „გაზიდულია ქვირამდე“. (ჩვენი წერილი ქვირის ნომერში არის მოთავსებული). გარდა ამისა „კომუნისტს“ უნდა მიექცია ყურადღება იმისთვის, რომ წერილში ნათქვამია „გაზიდულია დღემდე“ და არა იზიდება, დღესაც. ეს კი სულ სხვა შინაარსსა და ტონს ისცემს წერილს.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, „კომუნისტი“ აჩქარდა და ამოწერილი ადგილის ქვევით აღარ მოისურვა წერილის სხვა ნაწილის წაკითხვა, ამიტომ ჩვენ ვრცლად ამოვწერთ აქ ადგილს, იმავე წერილიდან, რომ „კომუნისტის“ მეპრესეს არ გაუძნელდეს გაგება.

„ქართველ ერს არა ერთხელ გამოუთქვამს თავის მტკიცე და შეურყეველი სურვილი მისი განძეულის ნასიბრძნის, საუკუნეთა განმავლობაში დაუცხრომელ კულტურულ მუშაობის მოწყობილ ძეგლთა დაბრუნების შესახებ, მაგრამ ამაოდ: ძველი რუსეთი მას ყურს არ ათხოვებდა და კვლავინდებურად, სისტემატიურად განაგრძობდა საქართველოს სიმდიდრეთა მითვისებას, რაიც თვით რუს მეცნიერთაგანაცაა აღშფოთებით დადასტურებული.

დღეს მდგომარეობა გამოიცვალა.

საბჭოთა ძალა-უფლებისას არ არის ძალადობა, ერის დაჩაგვრა, მისი ავლადიდების მითვისება: მისთვის ყოველი ერის ეროვნული ღირებულებას [illegible] ის გარემოება, რომ მან საუკუნეთა განმავლობაში [illegible] დაჩაგრულ ერებს [illegible] და ზემოთ დაუბრუნა მათი კუთვნილი ეროვნული განძი. (პოლონელებს, უკრაინელებს, მუსულმანებს და სხ.)

დარჩენილი იყო მხოლოდ საქართველო, რომელსაც ყველაზე მეტი სიმდიდრე აქვს საბჭოეთის გარეთ გატანილი და გაფანტული, რაიც როგორც ერის კულტურის მაუწყებელი ღირებულების წყარო, აუცილებლად მასვე უნდა დაბრუნებოდა სამარადისო სამკვიდროებლად.

და ეს ასეთაც მოხდა: თანახმად საქართველოს და რუსეთის განათლების კომისარიატთა შეთანხმებისა და რუსეთის საბჭოთა მთავრობის დადგენილებისა და სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის დადასტურებისა ზემოაღნიშნულ დარგის ყველა სიმდიდრე უბრუნდება ქართველ ერს“.

ამ სიტყვებს განმარტება არ ესაჭიროება. ჩვენი იხილით ვურჩევთ „კომუნისტს“ უფრო დინჯად მოეკიდოს საქმეს და ჭეშმარიტებას ნუ „ახრჩობს“.

# კახეთ. რკინის გზა

რკინის გზების განუწყობლობამ და მისი ცენტრის რუსეთში გადატანამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საქმეს,—ამას დღეს ყველა ხედავს და ზომავს [illegible] მის გამოსასწორებლად. თუ როგორ ეპყრობა მხედველობიდან შორეულ ცენტრს ადგილობრივი ინტერესები, ამისი მაგალითი ძალიან ბევრია. ჩვენ შევჩერდებით ამ ხანად ერთ მათგანზედ, სახელდობრ კახეთის რკინის გზაზედ.

კახეთი უმდიდრესი კუთხე საქართველოსი. ტფილისის მცხოვრებთა დიდ ნაწილს კახეთი არჩენს თავისი პურით და კახური ღვინო ხომ მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელია. სხვას რომ თავი გავანებოთ, მარტო ესეც საკმარისია კახეთის რკინის გზის მნიშვნელობის დასაფასებლად. მისი მნიშვნელობა განუზომელია თვით კახეთისათვის, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მას ტფილისისათვის, ვინაიდან აქედან დამოკიდებულია ის სურსათ-სანოვაგის საგრძნობ ნაწილს. ჩვენ არაფერს ვამბობთ ამ გზის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზედ, რაც ყველასათვის ნათელია და უდავო გვგონია.

მაგრამ ეხლა დიდი მნიშვნელობის კახეთის რკინის გზისა დღეს თითქმის გაუქმებულია უხმო ტარიფებით. დღეს ბევრი ეზიდება კახეთიდან ტფილისამდე ღვინოსა და სხვა სურსათ-სანოვაგეს ურმებით როგორც ამ 7—8 წლის წინად, როცა კახეთის რკინის გზა არ არსებობდა. სარკინიგზო პოლიტიკამ ადგილობრივ პირობებთან შეუფერებლობის პოლიტიკამ ასე დაუკარგა მნიშვნელობა კახეთის რკინის გზას და აღადგინა მამა-პაპეული სატრანსპორტო საშუალებანი ურმები და ხარ-კამეჩები. ასეთი პრაქტიკის მოჰყვა გზების გაერთიანებას.

მაგრამ კახეთის რკინის გზას ეს არ აკმარეს და ეხლა ისეთ „რეფორმას“ უპირებენ, რომელიც შეიძლება მისთვის საბედისწერო თუ არა, ყოველ შემთხვევაში, დიდად სახიფათო გამოდგეს. აუქმებენ და ლიკვიდაციას უპირებენ მე 17 უბანს, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა მეთვალყურეობისა და მოვლა-პატრონობის მხრით კახეთის რკინის გზის ნაწილი ნავთლუღიდან მელაანამდე (93 ვერ.) ერთი ნაწილი ამ უბნისა, სიგრძით 60 ვერსი შეუერთეს მე 7 უბანს და მეორე კი,—33 ვერსი სიგრძით,—მაგისტრალის მე 18 უბანს.

ერთი შეხედვით თითქოს აქ ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ამაზედ ლაპარაკი და მით უფრო განგაში წერა ღირდეს. უბნის გაუქმება და მისი ორ უბანთა შორის განაწილება ალბად ხარჯების შემცირებით არის გამოწვეული. მაგრამ ხარჯების შეკვეცის გამო არ შეიძლება თვით რკინის გზის და მასზედ მოძრაობის საფრთხეში ჩაგდება. ამ შემთხვევაში კი სწორედ ასეთი საფრთხესთან გვაქვს საქმე.

როგორც ვიცით კახეთის რკინის გზა გაყვანილია მთიან და უსწორმასწორო ადგილებზედ. ამიტომ მისი ჰორიზონტული ნაწილი უდრის მთელი სიგრძის მხოლოდ 7 პროც.. დანარჩენი წარმოადგენს აღმართ-დაღმართს. ლიანდაგის პირდაპირი ნაწილი კი წარმოადგენს მთელი სიგრძის 53 პროც; დანარჩენი მიხვეულ მოხვეულია გზა გადასჭრის ძალიან ბევრ ხევებს, რომელნიც წვიმების დროს, განსაკუთრებით შერდგომაზედ ვერ იტევს ხიდებს და მეპალიუნის გადასავალი, სადაც 16 ვერსის მანძილზედ მატარებელს უხდება წყვილი ორთქლმავალი.

ყოველივე ზემოაღნიშნული განსაკუთრებულ პირობებს ჰქმნის კახეთის რკინის გზის მოვლა-პატრონობისათვის. ის მოითხოვს გაორკეცებულ სიფრთხილეს და გაძლიერებულ მეთვალყურეობას, რომ უბედური შემთხვევა არ მოხდეს ან მოძრაობა არ შეჩერდეს.

კახეთის რკინის გზის ზემოაღნიშნულ პირობებს ხაზგასმით აღნიშნავს უმაღლესი სპეციალური კომისია, რომელმაც კახეთის რკინის გზა შეამოწმა 1915 წლის მოძრაობის დაწყების წინ.

დღეს, როგორც აღვნიშნეთ, ყოვლად შეუფერებელი ტარიფების გამო კახეთის რკინის გზა თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს და მას ურემი ეცილება, მეტოქეობას უწევს. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მოძრაობა ნაკლებია ამ გზაზედ და მისი მოვლა პატრონობაც არ მოითხოვს გაძლიერებულ მეთვალყურეობას. მაგრამ ეს ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობა მალე გამოსწორდება, რაც გამოიწვევს კახეთის რკინის გზაზედ დიდ მოძრაობას, მაშინ კი იქნება საჭირო იქნება ძველი აპარატის აღდგენა, ან ამ გზაზედ მოძრაობა მეტად სახიფათო ან სრულიად შეუძლებელი გახდება. უკანასკნელი უფრო მოსალოდნელია, ვინაიდან გაუქმებული მე-17 უბნის აღდგენა, მაშინ ისე ადვილი აღარ იქნება, ვინაიდან გაფანტული და გაბნეული იქნება ეხლა ამ უბანში დაცული მომარაგებული მასალა, გაუქმებული იქნება სახელოსნო, გაიფანტება მუშა-მოსამსახურენიც, რომელთაც ეხლა ითვლიან, რიცხვით 50 კაცამდე. ყოველივე ამის ხელახლა თავის მოყრა და მოგროვება ძალიან გასაჭირი იქნება შემდეგში და უამისოთ კი ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია კახეთის რკინის გზაზედ უხიფათო მოძრაობა.

ამიტომ მე 17 უბნის გაუქმება შეიძლება საბედისწერო მოხდეს რამოდენიმე მგზავრისა და მოსამსახურისათვის. ასეთ პირობებში რკინის გზის ჩაყენება ყოვლად დაუშვებელია ხარჯების შემცირების მიზნით.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს ვინც ვალდებულია და შეამოწმოს, რამდენად აუცილებელია ხსენებული უბნის არსებობა ან გაუქმება.

რკინისგზელი.

(იხ. „ტრიბუნა“ № 247)

# ნარკვევი

დისპუტი „სმენა ვეხის“ შესახებ.

ჩვენ ვიცით, რომ „სმენა ვეხოვცები“ ჩამოვიდნენ რუსეთში და განაგრძობენ მუშაობას თავის ცოდვების შესანანიებლად რუსეთის ხალხის წინაშე. ისინი აკეთებენ მოხსენებებს, რომელშიაც უნდათ გაარკვიონ ინტელიგენციის როლი რუსეთის რევოლიუციაში და ის მიმდინარეობა, რომელიც დაიბადა „სმენა ვეხის“ სახით. „შენანიებულთა“ ორმა თვალსაჩინო წევრმა პროფ. კლიუჩნიკოვმა და პოტეხინმა წაიკითხეს მეორე მოხსენება 10 ივლისს კონსერვატორიის დარბაზში. მოხსენებების შინაარსზე და გამართულ კამათზე მოგვითხრობს გაზ. „იზვესტია“:

„პრ. კლიუჩნიკოვი შეჩერდა რევოლიუციაში ინტელიგენციის როლზე და დაჰყო იგი სამ ჯგუფად: კომუნისტური (და საბჭოთა ინტელიგენცია), საბჭოთა მომხრე („სმენა ვეხის“) და საბჭოთა მოწინააღმდეგე; იგი იძლევა დახასიათებას თვითეული აღნიშნული ჯგუფისას. კლიუჩნიკოვი მტკიცეთ ატარა ის აზრი, რომ ინტელიგენცია წარმოადგენს მთლიან სოციალურ ჯგუფს, რომელიც მომავალშიაც შენახული უნდა იქმნეს, რომ მან შეასრულოს თავისი სოციალური ფუნქციები. მაგრამ თვით ამ ფუნქციებზე პროფ. კლიუჩნიკოვი ლაპარაკობდა ბუნდოვნად, რომელსაც ახასიათებდა იგი, როგორც მარადიულ „ჭეშმარიტების“ და „კეთილისა“ და „სილამაზის“ მოსამსახურეს და სხვ.

მომხსენებელი პოტეხინი თავის მოხსენებაში შეჩერდა რევოლიუციის ნაციონალურ ამოცანებზე და გაიმეორა აზრი, გამოთქმული „სმენა ვეხის“ კრებულში, რომ ამოცანები მე-3-მე კომუნისტური ინტერნაციონალისა გამოიხატა [illegible] რუსეთის ნაციონალურ ამოცანების განხორციელებაში. რომ ყოფილიყო —ამბობს იგი,— მესამე ინტერნაციონალსა, როგორც ინტერნაციონალურ ორგანიზაციასა და რუსეთის ინტერესებს შორის წინააღმდეგობა, მე მიუდგებოდი რუსეთს ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

მაგრამ მომხსენებელს არ წარმოუდგენია „რეალურ პოლიტიკურს გეგმაში“ შესაძლოება ამგვარი წინააღმდეგობისა. ეს დამტკიცება გამომდინარეობდა რუსული ნაციონალური ხასიათის დახასიათებიდან, რომელიც მოგვცა მომხსენებელმა.

პოტეხინი ხედავს რუსულ ნაციონალურს ხასიათში ორ თვისებას: 1) „ძიება ჭეშმარიტებისა“; „სიმართლე-ჭეშმარიტების“ და „სიმართლე—სამართლიანობის“, 2) თვისება კაცობრიული (всечеловечности), ან როგორც დოსტოევსკი ამბობდა „მსოფლიო ხასიათი რუსული ნაციონალური სულისა“. პოტეხინის აზრით, თვით კომუნისტები უახლოვდებიან „სმენა ვეხობას“, ვინაიდან მათ დაიწყეს გაგება რევოლიუციის უდრესად ნაციონალური აზრისა.

— ჩვენ გვიძახიან კომუნისტებს, კომუნისტებს ხუთი წუთით ნაკლებს, —ამბობს პოტეხინი—მაგრამ არა ჩვენ ვისწრაფვით კომუნისტებისაკენ, წინააღმდეგ კომუნისტები გვიახლოვდებიან ჩვენ“.

მოხსენებების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მეშჩერიაკოვმა, პროფ. კოროვინმა, გ. ბერგმანმა, სერგეი გოროდეცკიმ და ვ. პოლონსკიმ.

მეშჩერიაკოვის აზრით სრულიად სასურველი არ არის, რომ „სმენა ვეხოვცები“ კომუნისტები გახდნენ, როგორც მათ თვისი სოციალური ბუნების გამო არ შეუძლიათ გახდნენ. ადრე, ისინი დარჩნენ, რაც არიან თავისთავად და იმუშაონ რუსეთის საკეთილდღეოდ“.

„საზოგადოთ [illegible] გაზეთი „იზვესტია“ გადმოგვცემს, ჰქონდა მეგობრული ხასიათი, რომ პოეტს გოროდეცკის არ შეეტანა დისონანსი თავისი სასტიკი გალაშქრებით „სმენა ვეხოვცების“ წინააღმდეგ.

# ესერების პროცესი

მოსკოვი. 18 ივლისი. დილის სხდომაზე ირჩევა ვოლოდარსკის მოკვლის საქმე. ბრალდებული სემიონოვი ამბობს: 1919 მაისის შუა რიცხვებში, მან, სემიონოვმა, მიმართა დონსკოის წინადადებით, დაეწყოთ ტერორისტული აქტების მოხდენა. დონსკოი ძლიერ გაახარა სემიონოვის წინადადებამ. ამის შემდეგ სემიონოვის წინადადებამ. ამის შემდეგ სემიონოვმა ინახულა გოცი, რომელთანაც მას ჰქონდა ლაპარაკი ტერორისტული აქტის მოწყობის შესახებ. გოცმა უთხრა, მას, რომ პირველყოვლისა საჭირო იქნება ზინოვიევისა და ვოლოდარსკის საწინააღმდეგო ტერორისტული აქტის მოხდენა. მიიღო რა ცეკას სანქცია, სემიონოვი შეუდგა ცეკასთან სამხედრო ორგანიზაციების მოწყობას. ამ რაზმში შედიოდნენ კონოპლევი, ფედოროვი, სერგეევი, კუსოვი, ზელენკოვი, კონოპლევა და ივანოვი. ზინოვიევისათვის და ვოლოდარსკისათვის თვალყურის დევნება მიენდო ივანოვას. გამოირკვა, რომ უფრო ადვილი იქნებოდა ვოლოდარსკის საწინააღმდეგო ტერორისტული აქტის მოხდენა, რომელიც ხშირად გამოდიოდა მიტინგებზე. ვოლოდარსკის მოსაკლავ ადგილად ამორჩეულ იქნა ის გზა, რომელიც მიდიოდა ობუხოვის ქარხანაში, რადგანაც ვოლოდარსკი სწორედ ამ გზით ხშირად დაიარებოდა მიტინგებზე.

როდესაც ვოლოდარსკის მოკვლის ყველა წინასწარი ზომები დამთავრებული იყო, სემიონოვმა ეს აცნობა გოცს, რომელმაც ურჩია მათ ვადა ხანს შეეცადეთ კიდევ. სემიონოვს, ამგვარი მოქცევა, რადგან განსაკუთრებულ გარემოებათ მიაჩნდა მას შემდეგ რაც ცეკას დასტური უკვე მიღებული იყო. მეორე დღეს სერგეევი წავიდა იმის დასათვალიერებლად თუ როგორ გაივლიდა ვოლოდარსკის ავტომობილი იმ ადგილას საიდანაც განზრახული იყო მისი მოკვლა. თავის წასვლის წინ სერგეევმა ჰკითხა სემიონოვს: როგორ მოქცეულიყო იგი ამ შემთხვევაში თუ [illegible] ვოლოდარსკის მოსაკლავად. სემიონოვმა უპასუხა, რომ ასეთ შემთხვევაში მას უნდა ესროლა. ვოლოდარსკის ავტომობილი შემთხვევით შეჩერდა ჩვენ მიერ არჩეულ ადგილის ახლოს. ვოლოდარსკი გადმოვიდა ავტომობილიდან და გაემგზავრა სერგეევისაკენ. სერგეევმა ესროლა რამოდენიმეჯერ ვოლოდარსკის და მოკლა იგი. მკვლელობის შემდეგ სერგეევმა მოასწრო დამალვა. საღამოს იგი მივიდა სემიონოვის ბინაზე, სადაც მათი ღამე მკვლელობის შემდეგ ორი თუ სამი დღე სერგეევი იმალებოდა. პეტერბურგში, რის შემდეგაც სემიონოვთან ერთად ისინი გაემგზავრნენ მოსკოვში. ვოლოდარსკის მოკვლის მეორე დღეს გამოქვეყნებულ იქნა ცეკას განცხადება, სადაც იგი უარყოფდა ესერების პარტიის მკვლელობაში მონაწილეობის მიღებას. სემიონოვი აცხადებს, რომ როგორც მისთვის, ისე ყველა მებრძოლი ამხანაგებისათვის ეს განცხადება საშინელი სილა იყო. მკვლელობის შემდეგ სემიონოვმა ინახულა ცეკას რწმუნებული რაბინოვიჩი, რომელმაც გადასცა მას, რომ მას, სემიონოვს, [illegible] აქტის ჩადენის, რომ მას უნდა [illegible] თავისთავად თანხმობისათვის და წინააღმდეგ შემთხვევაში სემიონოვს [illegible]. არ გასულა მცირე ხანი ამის შემდეგ და რაბინოვიჩმა წინადადება მისცა მას გამგზავრებულიყო [illegible] ლენინის მოკვლის საკითხზე და როდესაც მან შეიტყო სემიონოვის ყოყმანობა, მან აღნიშნა, რომ ტერორისტული აქტი კარგად [illegible] და რომ ყველა კვალი [illegible] და რომ მას, სემიონოვს [illegible] მიტინგზე.

ბრალდებულები გელფმანი და ლიხაჩი ერთი საათის განმავლობაში აძლევდნენ წერილობით შეკითხვებს სემიონოვს, რომელზედაც იგი უპასუხებდა.

გოცი თავის ჩვენებაში ამბობს შემდეგს: სემიონოვს იგი ხშირად ხვდებოდა სხვა შეხვედრებისაგან მას ახსოვს ერთი, რომელიც მოხდა ორი კვირით ადრე ვოლოდარსკის მოკვლისა. სემიონოვი შეეკითხა გოცს, ხომ არ შეცვლის ცეკა თავის დამოკიდებულებას ტერორისადმი.

